



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6430  
16/09/2021

6430-09-2-202109161007



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს  
მის: ქ. თბილისი, იოველ ჯეზაშვილის 1-ლი გას. N5  
ელ ფოსტა: vakhtang.kobaladze@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

განვიხილეთ, თქვენი 2021 წლის 30 აგვისტოს N20583 წერილი, რასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

1. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო 2021 წლამდე არ ახდენდა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ინფორმირებას რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის აღმოჩენის შემთხვევებზე. თუმცა, შეიცვალა პრაქტიკა და მიმდინარე წლიდან ხორციელდება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

2. თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 25 აგვისტოს N09/5752 წერილით გამოგეგზავნათ ინფორმაცია 2021 წელს სააგენტოს მიერ რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 5 შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელზედაც მოხდა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ინფორმირება. დამატებით გაცნობებთ, რომ 2021 წელს რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის კიდევ 2 შემთხვევაზე მოხდა საგამომიებო სამსახურის ინფორმირება. (ჯამში მიმდინარე წელს, 7 შემთხვევასთან დაკავშირებით ეცნობა შესაბამის უწყებას).

ზემოაღნიშნული 2 შემთხვევიდან, ერთ-ერთი დაკავშირებულია ინდივიდუალურ მეწარმესთან, შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას, ვინაიდან, შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. აქედან გამომდინარე, სააგენტო

მოკლებულია შესაძლებლობას გადმოგცეთ აღნიშნული ინფორმაცია. ხოლო რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ეხება თქვენს წერილში აღნიშნულ შპს „წიფორა-სამცხე“-ის (ს/კ 424066003; ფაქტიური მისამართი: ახალციხის რაიონი, სოფელი ურაველი; ნიმუშის აღების ადგილი: შპს „ორი ნაბიჯი“ (სასურსათო მაღაზია, მარკეტი) ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-2 ჩიხი N20. ლაბორატორიული დასკვნის თარიღი: 22.07.2021) მიერ წარმოებულ ქარხნულ ყველს (დამზადების თარიღი 02.06.2021; ვარგისიანობის ვადა - 31.07.2021), რომლის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურს მიმდინარე წლის 30 ივლისს.

3. აქვე გაცნობებთ, რომ იმ შვიდი ბიზნესოპერატორიდან, რომელთა თაობაზეც მოხდა საგამომიებო სამსახურის ინფორმირება, შესაბამისი უწყებისთვის ინფორმაციის მიწოდებამდე, დაჯარიმებული იქნა ორი ბიზნესოპერატორი: შპს „აისი“ (ს/კ 227721310) და შპს „წიფორა-სამცხე“ (ს/კ 424066003) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კანონის 74<sup>1</sup> მუხლის (ეტიკეტირების წესის დარღვევა) შესაბამისად.

რაც შეეხება თქვენს წერილში აღნიშნულ შპს „რესპუბლიკა“-ს და შპს „ფუდ ლაინ +“-ს, სააგენტოს მიერ დაჯარიმებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კანონის 74<sup>1</sup> მუხლის (ეტიკეტირების წესის დარღვევა) შესაბამისად, მათ მიერ წარმოებულ რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის გამო. ხოლო თქვენი წერილის შემდგომ, მოხდა აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, საგამომიებო სამსახურის ინფორმირება.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტებზე გამოყენებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სააგენტო გააუქმებს საჯარიმო ქვითრებს.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

